



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №6

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 31 ივლისი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| ლაშა სირაბიძე        | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების<br>კომისიის თავმჯდომარე;                            |
| დimitრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                      |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის,<br>ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის<br>თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;              |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის<br>მოადგილე; |
| ნატალია ძიმიგური     | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -   |

კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;

## სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
  - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:
- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
  - იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
  - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
  - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
  - მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
  - მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე** მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა ცნობის სახით მიღების შესახებ, რომ მიმდინარე წლის 16 ივლისს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა კომახიძემ პირადი განცხადების საფუძველზე მოიხსნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება, ვიცე-მერად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი არჩილ ჩიქოვანი, რომელსაც

უსურვა მძიმე ტვირთის კეთილსინდისიერად და წარმატებით სვლა. ასევე მიმდინარე წლის 1 ივლისს საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ კახიძე გაირიცხა უმრავლესობისა და ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რიგებიდან. საკრებულოს თანამდებობის პირს ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს გადადგომის შესახებ, რის თაობაზეც ის მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს. მან 2 ივლისს საკრებულოს მიმართა განცხადებით საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებისა და ფრაქციიდან „ქართული ოცნება-მრეწველები“ გასვლის თაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომენტიდან. გამომდინარე აქედან, განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან თემურ კახიძე ითვლება საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებულად.

**სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი 6 სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ და მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.**

საკრებულოს წევრმა ლაშა სირაბიძემ დამსწრე-საზოგადოებას, მუსლიმ მრევლს მიულოცა ბაირამის დღესასწაული, ასევე წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ღრმად შესწავლის მიზნით ამოღების თაობაზე, რაზედაც დაეთანხმა საკრებულოს წევრები ზურაბ ნაკაიძე და მირდატ ქამადაძე.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ დღის წესრიგიდან მე-5 საკითხის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

არ ესწრებოდა: 1( მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი, ცვლილების გათვალისწინებით:**

## დღის წესრიგი:

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე (ფალავანდიშვილის ქუჩა) საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

**საკითხი 3.** „ბათუმის ცენტრალურ პარკში ფოსტის მონუმენტის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

**საკითხი 4.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №21 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე /ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებეძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19

არ ესწრებოდა: 1( მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სიტყვის უფლება მისცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერს, მერის მოვალეობის შემსრულებელს არჩილ ჩიქოვანს, რომელმაც მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა. მან მიესალმა დეპუტატებს, მიესალმა მედიის წარმომადგენლებს. მიულოცა დიდი დღესასწაული მუსლიმ მრევლს. უსურვა მათ რწმენის სიმტკიცე და სიძლიერე. პატივია წარსდგეს თქვენს წინაშე მისი ამჟამინდელი პოზიციიდან. დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ჩართული იმ ქალაქის საჭირობო საკითხების გადაჭრაში, სადაც დაიბადე და გაიზარდე. მოუწევთ საკმაო შრომის გაწევა, 24 საათიან რეჟიმში მუშაობა და მზად არის, ემსახუროს ბათუმის მოსახლეობას. მისთვის პრიორიტეტულია იმ მიმართულებების წამოწევა, რომელიც სამომავლოდ გაზრდის და განავითარებს ქალაქის შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა. პროგრამები სრულ თანხვედრაში იქნება მოსახლეობის მოთხოვნილებებთან. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გატარება ყველა თქვენგანის დახმარებითა და ჩართულობით იქნება შესაძლებელი. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზია. ბათუმის მაცხოვრებლებმა და ქალაქის სტუმრებმა უნდა მიიღონ სრულყოფილი და თანამედროვე მუნიციპალური სერვისები სხვადასხვა მიმართულებით. მას აქვს კონკრეტული ხედვები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა, ბუნებრივია, მზად არის, მოისმინოს თქვენი შეხედულებები და შეთავაზებები. მსოფლიო პანდემიის კვალდაკვალ, ჩვენი ქალაქი რიგი გამოწვევების წინაშე დადგა. მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, განსაკუთრებით სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, მოქალაქეებს, იმისათვის, რომ შეინარჩუნეს მწვანე ქალაქის სტატუსი და კვლავ ვრჩებით ერთ-ერთ ყველაზე მიშხიდველ ტურისტულ მიმართულებად. ამ ეტაპზე, სანამ საერთაშორისო ვიზიტორების მიღება დაიწყება, ორიენტირებულები არიან შიდა ტურიზმის განვითარებაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 50-მდე ქუჩის, მონაკვეთისა და ჩიხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ხორციელდება წყალარინების სისტემისა და გზის სავალი ნაწილის მოწესრიგება. კონტრაქტორ კომპანიებთან შეთანხმებით დაჩქარდება სამუშაოების მიმდინარეობის ტემპები, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია. დაახლოებით თვენახევარში დასრულდება მთელი რიგი სამუშაოები, რაც დისკომფორტს უქმნის ჩვენს თანაქალაქელებსა და ჩამოსულ სტუმრებს. მისი თქმით, „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება. ასევე, შენდება 200 ალსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი. მისივე განმარტებით, გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქალაქის როგორც ცენტრალური, ასევე ნაკლებად განვითარებული ნაწილის მოწესრიგების მიმართულებით. ბიუჯეტის კორექტირების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: ბიუჯეტის მზადების პროცესში პრინციპულ პარამეტრებზე უკვე შეთანხმდენ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან. განხორციელდება 10,3 მილიონი ლარის კაპიტალური ტრანსფერი. დასრულდება ყველა მიმდინარე პროექტი და დაიწყებენ ახალ მიმართულებებზე მუშაობას. ყველა პროექტი მორგებული იქნება ჩვენი თანამოქალაქეებისა და ჩამოსული სტუმრების საჭიროებებზე. კიდევ ერთხელ, ხაზი გაუსვა, რომ ის საერთაშორისო აღიარებები, რაც ტურისტული მიმართულებით აქვთ, უნდა შეინარჩუნონ. მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურებს 24 საათიანი მუშაობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

**საკრებულოს წევრი - ლევან ანთაძე** მიესალმა კოლეგებს და მოითხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან კითხვების დასმა, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ უახლოეს დღეებში ჩანიშნულია საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც განიხილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ამდენად უმჯობესია კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობა.

**საკრებულოს წევრი - ბესარიონ გოგოტიშვილი** მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა არჩილ ჩიქოვანს თანამდებობაზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა. მან დასვა შეკითხვა სამარშრუტო მიკროავტობუსების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის თაობაზე.

**საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ** მიულოცა არჩილ ჩიქოვანს მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა და მძიმე ტვირთი იქედან გამომდინარე, რომ ქალაქში არსებობს ბევრი პრობლემა. არჩილ ჩიქოვანის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მუშაობა დაეტყო გაჩერებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაზედაც მადლობა გადაუხადა, თუმცა არის ისეთი საკითხები, როგორცაა: ტრანსპორტის მიმართულებით, სამარშრუტო მიკროავტობუსები მოსაწესრიგებელია მათი გადაადგილების რეგულაციებთან დაკავშირებით. ბავშვთა ქუჩის ატრაქციონები და ე.წ. სატრენაჟო დანადგარები გამოსულია ქალაქის მასშტაბით მწყობრიდან. ეს არის საპასუხისმგებლო და დასაჩქარებელი საქმე, იქედან გამომდინარე, რომ პანდემიასთან დაკავშირებით ბავშვები არიან ქუჩებში და ერთადერთი გასართობია მათთვის. შემოერთებული ტერიტორიები არის განუყოფელი ნაწილი ცენტრალური ტერიტორიებისა. ყურადღება მისაქცევია, რადგან დღემდე სამწუხაროდ არსებობს პრობლემები. თამარის დასახლებაში ცნობილია სახლი 24, ბინა 54, ეს ვეღარ გაიტანს წელს ზამთარს, ჭერი ჩამოქცეული აქვს, ადამიანებს თავზე აწვიმს, ასე რომ მისაქცევია ყურადღება, ასევე დიდი პრობლემაა, რომელიც პრობლემად რჩება, ვერანაირად ვერ აღმოიფხვრა სეზონური სამუშაოების ჩატარებით, ქუჩებში ქვაფენილები, რომელიც საშიშრობას უქმნის ადამიანებს და ტრანსპორტს. ასევე პრობლემაა ბაგრატიონისა და ბონის ტერიტორიაზე პლეტების დაგება, დღემდე გაჩენილია საშინელი ორმოები, კაფე-ბარების მიერ ათვისებულია ფეხით სავალი ნაწილი. ასევე კეთილმოწყობილი ქუჩები, ეზოები, ფიროსმანისა და გორგილადის ქუჩებზე კეთდება ხარვეზით სამუშაოები. დღემდე ვერ მოხერხდა შემოერთებულ ტერიტორიებზე ქუჩებზე და სახლებზე მინიშნებები და ნუმერაცია. ინიციატივასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამი ინიციატივა აქვთ, რომელიც განხილვის ფაზაშია.

**საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე** უერთებდა პათოსს მუსლიმ მრევლისთვის ბაირამის დღესასწაულის მილოცვას. მან აღნიშნა, რომ ქალაქში ბევრი რამ გასაკეთებელია და მოსაგვარებელია. მოსახლეობას აწუხებს გადათხრილი ქუჩები, საცობები. სამუშაოები კეთდება ნელი ტემპით. მას აქვს ინიციატივა, კერძოდ სავალი ნაწილის თხრა, მოჭრა და ასფალტის საფრის დაგება, რომელიც პრაქტიკულად ცუდია, გამომდინარე აქედან ზედამხედველობა უნდა გაეწიოს სამუშაოებს.

მან აღნიშნა, რომ ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე აჭარის მთავრობამ, მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს მთლიანად სამგზავრო ავტობუსების შესაცვლელად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს თხოვნით მიმართა, რომ 4 წლის წინ აშენდა სპორტის სასახლე, რომელიც არ ფუნქციონირებს, სასამართლო დავის გამო, აქედან გამომდინარე, დაკეტილია და სპორტსმენები ვერ ვარჯიშობენ. შესაძლებელია ექსპლუატაციაში მუნიციპალიტეტს გადმოეცეს და იმოქმედოს სპორტულმა არენამ.

**საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ** მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ არჩილ ჩიქოვანი არის პასუხისმგებლიანი ადამიანი, თუმცა გაურკვეველ პოლიტიკურ გუნდთან ერთად შემოაბიჯა, მაგრამ რამდენად გაუძლებს პოლიტიკურ გამოწვევას, არვიცი, ამას მომავალი აჩვენებს, თუმცა როგორც პიროვნებას მას წარმატებები უსურვა. მერის მოვალეობის შემსრულებელი თუ იქნება წარმატებული, ეს ნიშნავს რომ ქალაქი იქნება წარმატებული და თითოეული ჩვენგანის სურვილია იყოს წარმატებული ქალაქი. რაც შეეხება მერის გადადგომის შემთხვევის ცნობად მიღების საკითხს, პასუხისმგებლიანი გუნდი, როდესაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი გადადგა და თან იმ განცხადების შემდეგ, თუ ის არ მიიღებდა გადაწყვეტილებას, ის იქნებოდა ქალაქისთვის საზიანო, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლიანი პოლიტიკური გუნდი აუცილებლად მოიწვევდა რიგგარეშე სხდომას, გამოიკვლევდა საკითხებს, დაუსმევდა შეკითხვას. მას კარგად ახსოვს, რომ საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის მერი გვერდიგვერდ იბრძოდნენ არჩევნების წინ და იძლეოდნენ საარჩევნოდ დაპირებებს მოქალაქეებზე, მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ არჩევითი თანამდებობა აქვს და მეტი პასუხისმგებლობა მართებს. დღეს თითოეულ მათგანს ევალება საჯარო განცხადებები გააკეთოს და პოლიტიკური შეფასებები მისცენ იმ ფაქტს, რაც ქალაქში მოხდა, კერძოდ: მერის გათავისუფლების საკითხი, შვებულებაში გასვლა, რაზედაც საკრებულოს წევრებს კითხვები არ აქვთ. ქალაქის მერი ლაშა კომახიძე დაინიშნა დიდი ამბიციებით, ვერ განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტები, არ მისცა თანაქალაქელებს გათავისუფლების განმარტება და მათ შორის არცერთი თქვენგანი ამაზე საჯარო შეფასებას არ აკეთებს.

**საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა** მიესალმა და აღნიშნა, რომ პირველი და უკანასკნელი იყოს არჩეული მერის გადადგომა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. ძლიერი მერია, საკრებულო, ძლიერი მუნიციპალიტეტის ქვაკუთხედი. რაც შეეხება არჩილ ჩიქოვანის მობრძანებას სტუქტურაში, მან იმედოვნებს, რომ მერის სამსახურები მაქსიმალურად დაუდგებიან გვერდში და გააკეთებენ თავიანთ საქმიანობას, რადგან ორმაგი პასუხისმგებლობაა და ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ თავს გაართმევს. პანდემიის პირობებში ორმაგი პასუხისმგებლობაა თითოეული ჩვენგანისთვის, ამიტომ მან შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელსაც წერილობით მიაწვდის და იქნება შესატყვისი იმ პირობების, რომელიც პანდემიის პირობებში გასათვალისწინებელი იქნება.

**საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ** მიესალმა და მადლობა გადაუხადა ნატალია ძიძიგურს, რომ ისურვა არჩევითი მერი ამ წესით მომავალში აღარ წასულიყოს. მან მერის მოვალეობის შემსრულებელს დაუსვა კითხვა, ძალოვან სტრუქტურებში, მათ შორის კუდ-ში, სოდ-ში და სამხედრო პოლიციაში მუშაობის თაობაზე და. ა.შ მას აინტერესებს, ფიქრობს თუ არა, რომ მერის გადადგომაში დანაშაულის კვალია,



თუნდაც ზეწოლა. ასევე დასვა კითხვა ამბასადორის ადგილზე 15 სართულიანი შენობის დადგის თაობაზე მისი მოსაზრების და შეხედულების შესახებ. .

**საკრებულოს წევრმა - ნოდარ დუმბაძემ** აღნიშნა, რომ 2012 წელს, სანამ პარტია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა უმრავლესობას ხომ არ ახსენდება არჩილ ჩიქოვანი რომელ თანამდებობაზე მუშაობდა.

**საკრებულოს წევრმა - ნატალია ზოიძე** უერთდება დღევანდელ მილოცვებს და მიაჩნია, რომ უფლის წყალობით მათი სულიერი განმტკიცება და შინაგანი ძალა კიდევ უფრო მოიმატებს იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგები დადონ. რაც შეეხება დღევანდელ განცხადებებს, დღეს ხელისუფლებას ჰყავს პასუხისმგებელიანი ადამიანები, რაშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი დაეთანხმება. დღეს ადამიანური ხელისუფლებაა სათავეში და არა ის ხელისუფლება, რომელიც ხელების გადაგრეხით აიძულებდა ადამიანებს საკუთარ სურვილებზე უარი ეთქვათ, ამის დასტურია ზუსტად ის, რომ მერს აღარ უნდოდა თავისი უფლებამოსილების გაგრძელება და მიიღო ის გადაწყვეტილება, რომ დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე, რის გამოც საკრებულოს უმრავლესობა ვერ აიძულებდა გადაწყვეტილების შეცვლას.

**ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები პირადად იცნობენ, მაგრამ გასცემს რამდენიმე კითხვას პასუხს. მირდატ ქამადაძე არის წარმატებული იურისტი და ახსნის, რომ პოლიცია და მისი სტრუქტურები, მათ შორის თავდაცვის სამინისტრო არის აპოლიტიზირებული სტრუქტურა და ვერცერთ შემთხვევას, ფაქტს ვერ დაასახელებთ რომ არჩილ ჩიქოვანი პოლიტიკაში იყო. რაც შეეხება ლევან ანთაძის კითხვას ლეგიტიმურობასთან და კანონის შესაბამისობასთან დაკავშირებით არსებობს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ყველასთვის აუცილებელია შესასრულებლად. დანაშაულის არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. ასევე სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კანონმდებლობის ფარგლებში მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2020 წლის 30 აპრილს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა N25 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი

ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ”. კონკრეტული ზონირების რუკაში მოხდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ს ტერიტორიაზე მიეთითა შზ - 3, ხოლო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ს ტერიტორიაზე შზ-2. ცვლილებით განხორციელდება ხარვეზის გამოსწორება და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ს ტერიტორიას მიენიჭება - ცენტრის ზონა - შზ-2 ს სტატუსი, ხოლო საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ს - საქმიანი ზონა შზ-3 სტატუსი.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა - რომ ტექნიკური შეცდომის შემდეგ უბნები რჩება და ამიტომ დააკონკრეტეთ ზონას ეხება თუ არა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ზონას, რომელსაც ერქვა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1, დასახელების კოდექსით ჰქონდა ახალი სახელი მინიჭებული შერეული ზონა 3, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ს მინიჭებული ჰქონდა შერეული ზონა 2-ის სტატუსი, დღევანდელი გასწორებული შეცდომით პირიქით უნდა მიენიჭოს ზონებს სახელი. რაც შეეხება კოეფიციენტებს, არ იცვლება.

### სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

არ ესწრებოდა: 2 ( ნ. დუმბაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

### დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

### მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე (ფალავანდიშვილის ქუჩა) საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიღების ძირითადი მიზანია ქალაქ ბათუმში ფალავანდიშვილის ქუჩის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება ფალავანდიშვილის ქუჩის მონაკვეთის პუშკინის ქუჩიდან შევჩენკოს ქუჩამდე გაცალმხრივების თაობაზე მოთხოვნა, აღნიშნული ცვლილებები შემუ-

შავებულია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ აღნიშნა წარმოდგენილი ცვლილება-ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში ერთიანად იქნას წარმოდგენილი.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა: 3 ( ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 3. „ბათუმის ცენტრალურ პარკში ფოსტის მონუმენტის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ფოსტის არსებობას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, ვინაიდან ბათუმი დღეისათვის აქტიურ ტურისტულ ზონას წარმოადგენს, ფოსტის მონუმენტის განთავსება ხელს შეუწყობს კიდევ ერთ მიმზიდველ, ტურისტულ ობიექტად ჩამოყალიბებას. მონუმენტის ავტორია მოქანდაკე დავით ტაბატაძე. მონუმენტი დამზადებულია ალუმინით. აქვე განსაზღვრულია მონუმენტის ზომები და შერჩეულია კონკრეტული ლოკაცია. მონუმენტის განთავსებისა და დამზადების ხარჯებს იღებს ა(ა)იპ „გაერთიანებული საფოსტო კავშირი“ და საკუთრებაში გადასცემს მერიას.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა - ლევან ანთაძემ დასვა შეკითხვა ექსპერტების შეფასების, დადგმის, მხატვრული ღირებულების შეფასების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეფასება აქვთ, თანხმობა არსებობს როგორც არქიტექტურის შესაბამისი განყოფილებიდან, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროში არსებული შესაბამისი კომისიისგან არის დადებითი პასუხი. შეთანხმებულია ბათუმის ცენტრალურ პარკთან მონუმენტის განთავსების საკითხი. კომისიამ იმსჯელა სხდომაზე და უმრავლეს

სობის მიერ მხარდაჭერილია საკითხია.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ დასვა შეკითხვა მონუმენტის რამოდენიმე ვარიანტის არსებობის და კონკურსის შერჩევის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ფოსტის წარმომადგენლებთან ჰქონდა საუბარი, ფოსტამ თვითონ გამოაცხადა შიდა კონკურსი მონუმენტის დიზაინთან დაკავშირებით და კონკურსის წესით შეირჩა წარმოდგენილი დიზაინი.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ წამოაყენა წინადადება კონკურსის შემთხვევაში კარგია საკრებულოდან ერთ-ერთ წევრად წარმომადგენელის შეყვანის თაობაზე, რაზედაც დაეთანხმა მომხსენებელი.

საკრებულოს წევრმა რაულ თავრთქილაძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იყო გადაწყვეტილების მისაღებად.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

არ ესწრებოდა: 2 ( ნ. ზოიძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №21 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი

კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მიზანი გახდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო შექმნილი ვითარების ნორმალიზაცია, რათა სახელმწიფოს შეესრულებინა თავისი კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება. „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. აღნიშნული დადგენილებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაციასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა. მართალია, საქართველოს მთავრობის ნებართვით დასაშვები გახდა ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, მაგრამ დასაშვები სახეობები არ მოიცავდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობებს. ასევე „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მოქმედების ძალის დაკარგვის შემდეგ შეტანილი იქნა ცვლილებები „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში და ასევე მიღებული იქნა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება, რომელთა ძალით გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებზე დაწესდა შეზღუდვები.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებების დადების დროს შეზღუდული და/ან შეჩერებული არ იყო საქართველოს კონსტიტუციის არცერთი მუხლის მოქმედება. 2020 წლის 23 მარტიდან კი აშკარად შეიცვალა ზოგიერთი ის გარემოება, რაც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, კერძოდ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან და საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაცი-

იასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა. ხოლო საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები და ასევე მიღებული იქნა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება, რომელთა ძალით გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებზე დაწესდა შეზღუდვები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეცვლილი გარემოებების საბოლოო შეფასება არის ის, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს შეჩერებული აქვთ ეკონომიკური საქმიანობა და ეს არ არის გამოწვეული მათი ბრალეული ქმედებით. ეკონომიკური საქმიანობების შეჩერება კი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე ზეგავლენის შეფასებისათვის მნიშვნელოვან შეცვლილ გარემოებას წარმოადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გამო შექმნილი მდგომარეობა სრულად ჯდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შეფასებებში, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ხელშეკრულებების დადების შემდეგ აშკარად შეცვლილად ითვლება ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა. ამასთან, ეს გარემოებები ხელშეკრულების დადების დროს ცნობილი რომ ყოფილიყო, მხარეები ამ ხელშეკრულებას არ დადებდა არსებული შინაარსით, არამედ დადებდა შეცვლილი შინაარსით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის საფასურს (ქირა, საზღაური და სხვა), კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში მხარეები აღნიშნულ საფასურს არ გაითვალისწინებდნენ ან ამავე ვადის ნაწილში არ დადებდნენ ხელშეკრულებას. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეფასება უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მიხედვით და უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება. ხელშეკრულებების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება კი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში გადასახდელი თანხის ოდენობით.

**აზრი**

**გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ გააკეთა განცხადება, რომ წარმოდგენილი ცვლილება ცხადყოფს, რომ, რასაც 30 აპრილს, 1 მაისს იმახდნენ და მათ შემოიტანეს ანტიკრიზისული გეგმა, რომლის განხილვას აპირებდნენ, თუმცა არ განხილულა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმის განხილვის აუცილებლობა არ დგას მუნიციპალიტეტის წინაშე, მაშინ როდესაც არსებობდა მთავრობის მიერ დამტკიცებული ანტიკრიზისული გეგმა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

არ ესწრებოდა: 3 ( ნ. დუმბაძე, ა. დევაძე, მ. ართმელაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**დაადგინეს:** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს:**

საკითხი 5. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე /ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს ბალანსზე რიცხულ ავტობუსებზე/ავტობუსებში რეკლამის განთავსების უფლების ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში სააუქციონო პირობებით გადაცემის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 ნოემბრის N87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ითვალისწინებს დანართით განსაზღვრული შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ავტობუსებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემის პირობების მოწონებას აუქციონის გამოცხადებაზე.

## აზრო

### გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიმიგურმა აღნიშნა, რომ კომისიის სხდომა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მწვავედ წარიმართა, თუმცა კონსტრუქციულად და დამაჯერებლად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნები, გასათვალისწინებელია.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ მოუწოდა მხარი დაუჭირონ აღნიშნულ საკითხს, რადგან ბიუჯეტში შემოსავალს შემოიტანს რეკლამირება.

საკრებულოს წევრს არჩილ მამულაძეს აინტერესებს რომ ნებისმიერი სახის რეკლამირება შეიძლება თუ არა, ის ხედავს რეკლამებს, მაგრამ მუნიციპალური ტრანსპორტი არ შეესაბამება ასეთი დონის რეკლამას. ეს არის მიუღებელი. მომხსენებელმა განმარტა, რომ სრული კანონმდებლობის დაცვით მოხდება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საკითხი მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის გაზრდასთან მიმართებაში.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ წლების მიხედვით რეკლამიდან შემოსავალი კლებულობს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ რეკლამირება კლებადი და მიღევადი რესურსია და ტოპმენეჯერების დაქირავება და მიყვანა სამსახურში სარეკლამო ბაზარში, სწორედ ამის რესურსი რომ არ გააჩნდა ავტოტრანსპორტს, ამის გამო წარმოდგენილია საკითხი. აუდიტის მიერ შეფასებულია სარეკლამო ფართი მილიონ 451 ლარად, ამიტომ ამ ფასშიც რომ გაგვეტანა არაფერი დაშავდებოდა, თუმცა 30 წლიან პერიოდზე გადაანგარიშებით ჩათვალეს იმ თანხის და იმ მოცულობის ინვენსტიცია, წინსწრებად როცა ჩაირიცხება, უფრო ეფექტურად გაიმართება ავტოტრანსპორტი თავისი საქმიანობის კუთხით.



სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 2 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ლ. ანთაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე



